

მკროპული დეკლარაცია კვების პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და კვების შესახებ

ტერმინი „დეკლარაცია“ სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტისთვის გამოიყენება. საერთაშორისო დეკლარაციები იურიდიულად სავალდებულო არ არის. თუმცა, ამ ტერმინის შერჩევა ხშირად გამიზნულად ხდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მხარეებს, ხელშეკრულებითი ვალდებულებების აღება კი არ აქვთ განზრახული, არამედ მხოლოდ თავიანთი გარკვეული მისწრაფებების გაცხადება სურთ, რათა განავითარონ ან დანერგონ ღირებულებათა სისტემები, რომელთაც არა მარტო პროფესიონალი და გადაწყვეტილებების მიმღები აღიარებს, არამედ მთელი მოსახლეობა, რომელსაც ჩვენ დღესდღეობით როგორც მომხმარებელს, ისე განვიხილავთ.

საკვების წარმოების/გადამუშავების ტექნოლოგიის განვითარება ისტორიის მანძილზე, მრავალ შესაძლებლობას იძლევა, რათა შემუშავდეს ახალი კონცეპცია, თუ როგორ უნდა იქნას განხილული სიცოცხლის მთავარი შემადგენელი ნაწილი. სხვადასხვა მიდგომასთან ერთად, მის გაუმჯობესებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ჩვენ წარმატებას მივალწიეთ სხვადასხვა დონეზე. მაგრამ ახლა, დროა დავამყაროთ კავშირები, ვიმოქმედოთ ერთობლივად და მოვანდინოთ ყველა აქტივობის ინტეგრირება. კონგრესმა საკვებისა და კვების შესახებ, რომელიც ლუბლიანაში გაიმართა, ენთუზიაზმით აღავსო ამ მოძრაობის წარმომადგენლები და მათ შეძლეს დეკლარაციის მომზადება, რომელიც ხელმოწერილ იქნა ლუბლიანის მუნიციპალიტეტში, 2008 წლის 7 ნოემბერს.

ეს ღონისძიება კვების პროდუქტებზე პირველი ევროპული კონგრესის ფარგლებში ჩატარდა. კონგრესი 2008 წლის 4-9 ნოემბერს ლუბლიანაში გაიმართა და სლოვენის კვების საზოგადოების მიერ იქნა ორგანიზებული.

მოწვეული ცნობილი ექსპერტების მიერ 18 პლენარული სესიონი იქნა წაკითხული, 30-ზე მეტ პარალელურ სიმპოზიუმზე გაიმართა 200-ზე მეტი ზეპირი პრეზენტაცია; ჩატარდა აგრეთვე სემინარები, გაიმართა სასტენდო მოხსენებები და სესიები მრგვალი მაგიდის ირგვლივ. ეს კონგრესი ჩვენს მეხსიერებაში რამდენიმე მიზეზის გამო დარჩება. პირველი „კონგრესის წინამორბედი ღონისძიება“ იქნა დაწესებული, რომელმაც შესაძლებელი გახადა COST-ის, NATO-სა და ევროკავშირის პროგრამების გავრცელება FW6/7 ფარგლებში.

ეს იყო პირველი ევროპული კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილ იქნა „ქვეყნის დღე“, სადაც შესაძლებელი იყო გაცნობილით მასპინძელი ქვეყნის მეცნიერთა და პროფესიონალების პრეზენტაციებს საკვებისა და კვების შესახებ. წარმომადგენლებმა კონგრესის დახურვის ცერემონიაზე, კონგრესის მონაწილეებს დასრულებული დოკუმენტის სახით გადასცეს ევროპული დეკლარაცია საკვების, ტექნოლოგიისა და კვების შესახებ. მძაფრი დისკუსიების, კენჭისყრისა და დოკუმენტის პროექტში რამდენიმე შესწორების შეტანის შემდეგ დეკლარაცია მიღებული და ხელმოწერილი იქნა. დეკლარაციაში ყურადღება გამახვილებულია საკვებ პროდუქტებსა და კვების საკითხებზე, რომლებიც კვების პროდუქტების შესახებ ევროპულ მეცნიერებას, ტექნოლოგიასა და კვების სტატუსს ეფუძნება და ხელს უწყობს კვების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ევროპული კვების მეცნიერების და ტექნოლოგიის ერთიანობას; ამასთანავე, მოითხოვს მთავარი პრინციპების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობას და ახდენს საკვანძო ქმედებების დეკლარირებას, რომელთა მხარადაჭერაც მომავალში უნდა მოხდეს.

კონგრესის მონაწილეებს მრავალჯერ დაუსვეს შეკითხვა, თუ რატომ გვჭირდება ჩვენ ევროპაში, ამ ტიპის დეკლარაცია. პასუხი, რომელიც დროთა განმავლობაში გამოიკვეთა არის იმიტომ რომ, ჩვენ უნდა:

- ავამაღლოთ ცოდნა საკვების შესახებ;
- მოვახდინოთ შესაბამისი ცოდნისა და უნარების ფორმულირება;
- გავამდიდროთ ინფორმაცია საკვების შესახებ საზოგადოების ყველა დონეზე;
- ჩამოვაყალიბოთ საზოგადოებები საკვებისა და კვების სფეროში, გეოგრაფიულ ევროპაში;
- შევიმუშავოთ აქტივობები ამ სფეროში;
- შექმნილი გამოცდილება გადავიტანოთ ყოველდღიურ პრაქტიკაში.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ დეკლარაციის ხასიათი გაზრდის აქტივობებს სხვადასხვა დონეზე და იგი სათანადოდ იქნება აღქმული არა მარტო გადაწყვეტილების მიმღებების მიერ ევროპაში, ყველა შესაბამის დონეზე, არამედ დანარჩენ მსოფლიოშიც.

პ. რასპორი
 ლუბლიანის უნივერსიტეტი, სლოვენია
 EFFoST-ის პრეზიდენტი
 (European Federation of Food Science and Technology)
 0139-3006/\$ 20.00 © 2009 Akademiai Kiado, Budapest
 peter.raspor@bf.uni-lj.si

დეკლარაცია მომზადდა კონგრესის წარმომადგენელთა კომიტეტის მიერ ევროპული ქვეყნებიდან და ხელმოწერილ იქნა ლუბლიანის მუნიციპალიტეტში 2008 წლის 7 ნოემბერს.

ევროპული დეკლარაცია კვების პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და კვების შესახებ

პრეამბულა

ჩვენ, საკვების შესახებ პირველი ევროპული კონგრესის (ლუბლიანა, სლოვენია) მონაწილენი, მხარს ვუჭერთ FAO/WHO-ს დეკლარაციას (რომი, 1992) კვების შესახებ და WHO-ს დეკლარაციას საკვების უსაფრთხოების შესახებ (პეკინი 2007). ამ დეკლარაციებით ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ საკვებთან, ტექნოლოგიასთან და კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროპისთვის.

ვისთვის არის გათვალისწინებული დეკლარაცია

ევროპული დეკლარაცია კვების პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და კვების შესახებ გამიზნულია ევროპულ მომხმარებელსთვის, უმაღლესი თანამდებობის პირთათვის, მეცნიერთათვის, ევროპული კვების მრეწველობისა და სხვა პირთათვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს.

საკვები და კვება

საკვები აუცილებელია ადამიანის ზრდის, განვითარების და სხეულის ფუნქციონირებისთვის. კარგი კვება, კარგად დაბალანსებულ კვების რაციონს მოითხოვს, რასაც ყველა ტიპის საკვების საკმარისი დღიური რაოდენობით მიღება და ადამიანის ორგანიზმში ენერჯის ოპტიმალური შეთვისება უზრუნველყოფს. საკვები უნდა იყოს უსაფრთხო, ნოყიერი და მისი მიწოდება უნდა მოხდეს მომხმარებლის ღირსებისა და კულტურულ თავისებურებების შესაბამისად.

ევროპული კვების პროდუქტების მეცნიერება, ტიქნოლოგია და კვება

ევროპულ პროფესიონალებს კვების პროდუქტების მეცნიერებაში, ტექნოლოგიასა და კვებაში, გაძულებით შეაქვთ წვლილი და მნიშვნელოვანი მიღწევები გააჩნიათ საკვების წარმოებაში, დაკონსერვებაში, გადამამუშავებაში, შენახვასა და დისტრიბუციაში, ისევე როგორც კვებასა და ადამიანის ჯანმრთელობაში, რაც გამოყენებითი კვლევების სფეროში ფუნდამენტური მეცნიერებების სისრულეში მოყვანით მიიღწევა. ისინი აგრეთვე გაერთიანებული არიან მრავალ სამეცნიერო და პროფესიულ ასოციაციაში. ჩვეულებრივ, ამ ასოციაციების დაფუძნება ცალკეულ ქვეყნებში ხდება, მაგრამ ზოგჯერ რეგიონების ჯგუფებშიც იქმნება, სადაც მსგავსი კვებითი ტრადიციებია; ისინი შეიძლება იყოს ზოგადი ან ორგანიზებული იყოს ცალკეულ სამეცნიერო - და პროფესიულ დისციპლინებად, როგორცაა ბიოლოგია, ქიმია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია, მიკრობიოლოგია, ტექნოლოგია, დიეტოლოგია, სამედიცინო დისციპლინები და სხვა მონათესავე მეცნიერებები. ამ დეკლარაციის მიზანია ყველა ამ დისციპლინის ერთ ფოკუსში მოქცევა და მისი ევროპის მთელი მოსახლეობისა და აგრეთვე მეცნიერების, პოლიტიკოსების, მარეგულირებლებისა და მრეწველების სამსახურში ჩაყენება ყველაზე ოპტიმალური გზით. ეს გაერთიანება საშუალებას მისცემს ევროპას წარმატებით გასწიოს კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე, უფრო მისაწვდომი გახადოს ჯანმრთელი საკვები და გახდეს მეცნიერული სიზუსტისა და ერთიანობის სტანდარტების მსოფლიო ლიდერი.

ევროპული კვების პროდუქტების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კვების მართიანობა

დეკლარაციის მიზანია ევროპულ კვების პროდუქტების მეცნიერებს, კვების ტექნოლოგებსა და დიეტოლოგებს შორის დებატების ინიცირება, რათა შეძენილი იქნას მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მომავლში, იმედია, მიღწეული იქნება ინტეგრაცია. მეორე მიზანია, ევროპული კვების მრეწველობის, საკვების ხარისხისა და უსაფრთხო სტანდარტების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა. ყველა ეს ინიციატივა, დაეხმარება იმ მზარდი გავლენის აქტივიზირებას, რაც კვების პროდუქტების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და დიეტოლოგიის პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ ტექნოლოგიურ, სამეცნიერო, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ აზრზე ევროპაში. რა თქმა უნდა, ევროპაში ეს უნდა გაკეთდეს საკვებისა და დიეტის რეგიონული თავისებურებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რადგან სწორედ ეს მრავალფეროვნებაა, რომელიც წარმოშობს ახალ აღმოჩენებსა და ინოვაციებს.

პირითადი საკითხები

დეკლარაციამ განსაკუთრებით უნდა შეუწყოს ხელი დებატებს შემდეგ საკითხებზე:

- საკვები ძალზედ მნიშვნელოვანი სტრატეგიული და პოლიტიკური საკითხია;
- საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური ფაქტორებით ან საკვები ალერგენებით დაბინძურება ჯანდაცვის ძირითად პრობლემად რჩება;
- ადგილობრივი საკვების წარმოება გავლენას ახდენს რეგიონის კულტურაზე, იცავს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს რეგიონულ სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობას;
- ღიდ მანძილზე ტრანსპორტირებამ შესაძლოა გააუარესოს საკვების ხარისხი და უარყოფითი გავლენა იქონიოს გარემოზე.
- ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე, საკვებს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება სწორი კვებითი ჩვევების, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის ნაწილის, ჩამოყალიბებასა და უზრუნველყოფაში;

- სისმსუქნის მზარდი წილი და დიეტაზე-დამოკიდებული ქრონიკული არაინფექციური დაავადებები, ჯანდაცვის მთავარ პრობლემებს განეკუთვნება და სოციალური დაზღვევის ხარჯების ზრდას იწვევს;
- ამ სფეროში განათლების ღონე და თანამედროვე მონაცემების გაცვლა არ არის ადეკვატური მომხმარებელთა მოთხოვნის– გააკეთოს გაცნობიერებული არჩევანი.
- კვების ჯაჭვით დაინტერესებულ მხარეთა ტრენინგები და განათლება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ძირითადი პრინციპები, რომელთა უზრუნველყოფა და ხელშეწყობა უნდა მოხდეს

საკვებად ვარგისი, უსაფრთხო საკვებით მომარაგება, თითოეული მომხმარებლის ძირითადი უფლებაა:

- ყველას აქვს უფლება ჰქონდეს სარწმუნო ინფორმაცია კვების პროდუქტების, კვების რაციონისა და ჯანმრთელობაზე მათი გავლენის შესახებ;
- საკვების წარმოება, გადამამუშავება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია უნდა ატარებდეს სტაბილურ ხასიათს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარემოსდაცვითი, სოციალური და ეთიკური შედეგები, ისევე როგორც, რეგულირების საკითხები, კონტროლის შესაძლებლობის ჩათვლით.
- მისასაღმებელი უნდა იყოს ტექნოლოგიური მიღწევები სპეციალური საკვების წარმოების განვითარებისათვის, რომლებიც სამიზნე ჯგუფებისთვის არის საჭირო;
- სავალდებულო უნდა იყოს საკვების არაფალსიფიცირებული და სათანადო მარკირება კვების მრეწველობისა და ოფიციალურ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შეთანხმებით;
- არსებით მოთხოვნად არის აღიარებული გასაგები და მეცნიერულად-დასაბუთებული მედია კომუნიკაციების მონაწილეობა;
- უნდა მოხდეს სრულფასოვანი კვებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, რასაც საკვანძო როლი ენიჭება დაავადებების პრევენციასა და შემცირებაში;
- ყველას აქვს უფლება წინასწარ მიიღოს ინფორმაცია კვების პროდუქტებისა და კვების შესახებ, რათა შეძლოს თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობასა და შესაბამისი საკვების არჩევაზე;
- კვების მრეწველობის მენეჯერებმა უნდა აღიარონ კვებისა და უსაფრთხო საკვების ექსპერტიზის საჭიროება და დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ საკვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსები შესაბამისია.

საკვანძო ქმედებები

დეკლარაცია გულისხმობს შემდეგ საკვანძო ქმედებებს;

- საკვების მწარმოებლებმა, გადამამუშავებლებმა და საცალო მოვაჭრეებმა, რეგულირების გარდა, კვების ჯაჭვის ყველა პროცესში ეთიკური საზომებიც უნდა გაითვალისწინონ;
- ექსპერტებმა პროფესიონალური და ეთიკური სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით უნდა იმუშაონ;
- მთავრობებმა და სხვა პასუხისმგებელმა ინსტიტუტებმა უნდა მოახდინონ ეროვნული საკვები პოლიტიკის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, იმგვარად რომ, მომავალში, გლობალური ცვლილებები უფრო სწრაფად და რაციონალურად მოხდეს;

- მთავრობებმა და სხვა პასუხისმგებელმა უფლებამოსილმა ორგანოებმა და ინსტიტუტებმა უნდა განავითარონ ეროვნული საკვები პოლიტიკა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სოციალური და კულტურული თავისებურებები, გამოცდილება და სპეციფიკური საჭიროებები;
- კვების პროდუქტების შესახებ მეცნიერების, კვებისა და ტექნოლოგიის პროფესიონალებმა ისეთი საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრების კამპანია უნდა წარმართონ, რის შედეგადაც მიიღება უკეთ ინფორმირებული, ეფექტური ცოდნით აღჭურვილი მომხმარებელი.
- ყველას უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ჯანმრთელობაზე შესაბამისი საკვების არჩევის შემთხვევაში;
- ხელმძღვრებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი მათი შესაძლებლობების ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დეკლარაციით გამყარებული პრინციპების მიღწევა.

ხელმოწერილია:

საკვების შესახებ პირველი ევროპული კონგრესის პრეზიდენტის, პროფესორ პიტერ რასპორის მიერ, კონგრესის წარმომადგენლების კომიტეტის სახელით 41 ევროპული ქვეყნიდან.

Ilirjana Boci represented by Haxhi Allmuca, Albania;
 Ashot Saghyan, Armenia,
 Wolfgang Kniefel represented by Gerhard Schleining, Austria;
 Koen Dewettinck represented by Bart Heyman, Belgium; Faruk Caklovica, Bosnia and Hercegovina;
 Iordanka Alexieva represented by Laska Rangelova, Bulgaria;
 Mate Bilic replaced by Martina Piasek, Croatia;
 Athina Panayiotou, Cyprus;
 Jana Hajslova, Czech Republic,
 Henning Otte Hansen, Denmark;
 Toomas Paalme, Estonia;
 Anu Kaukovirta-Norja represented by Helena Pastell, Finland;
 Paul Colonna represented by Michel Franck, France;
 George Kalantzopoulos replaced by Ioannis Samelis, Greece;
 Giorgi Kvesitadze, Georgia;
 Sabine Kulling, Germany;
 Andras Salgo, Hungary;
 Inga Thorsdottir, Iceland;
 Francis Butler represented by Brian McKenna, Ireland;
 Rosangela Marchelli, Italy;
 Daina Karklina replaced by Aija Mengaile, Latvia;
 Rimantas Venskutonis, Lithuania;
 Torsten Bohn, Luxembourg;
 Vladimir Kakurinov, Macedonia;
 Anna McElhatton, Malta;
 Slavko Mirecki, Montenegro;
 Bernd van der Meulen represented by Sarah De Vito, Nederland,
 Wenche Frolich, Norway;
 Wlodzimierz Grajek, Poland;
 Xavier Malcata represented by Ana Oliveira Madsen, Portugal;

Mona Popa, Romania;
Iosif Rogov, Russia;
Miomir Niksic, Serbia;
Peter Simko represented by Norbert Bomba, Slovakia;
Bozidar Zlender, Slovenia;
Manuel Vazquez, replaced by Ascension Marcos, Spain;
Anne-Marie Hermansson, Sweden;
Klaus Zimmermann replaced by Yasmine Motarjemi, Switzerland;
Fatih Yildiz, Turkey;
Sergey Fedosov, Ukraine;
David White, UK.

Acta Alimentaria 38, 2009